შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის პროექტი
2024 წელი

შპს – „თენექსი“
შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა

ჩვენ შესახებ

სხვადასხვა სფეროში თანამედროვე ტექნოლოგიური მიღწევებისა და თანმდევი სიახლეების გაზიარების, ცოდნის გადაცემა-განვითარებისთვის ჩვენი კომპანია 2023 წელს დაფუძნდა.

ყველამ ვიცით, რომ მსოფლიოში ახალი გამოწვევა, დასაქმების ადგილზე ტექნოლოგიების მიერ ადამიანის ჩანაცვლებაა. ერთის მხრივ, დამსაქმებლები ტექნოლოგიების ხარჯზე ეტაპობრივად ახდენენ კადრების შემცირებას, ხოლო, მეორეს მხრივ, მათ ესაჭიროებათ ახალი ცოდნისა და უნარების მქონე პირები. აღნიშნული რეალობის გათვალისწინებით, ჩვენმა კომპანიამ გადაწყვიტა შეიტანოს მნიშვნელოვანი წვლილი ქვეყნის ეკონომიკისა და საზოგადოების განვითარებაში. დღეს, თითქმის ყველა სფეროში - ჯანდაცვა, მენეჯმენტი, სამართალი, ინჟინერია, არქიტექტურა და მშენებლობა, მარკეტინგი და სხვა, ინტეგრირებულია და ყოველდღიურად ძლიერდება ტექნოლოგიების როლი. ვფიქრობთ, იმისათვის, რომ ცალკეული პირი იყოს შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი და წარმატებული, აუცილებელია ახალი ცოდნის მიღება-გადაცემა და არსებულის ადაპტირება.

მისია

გლობალურ სამყაროში არსებული მოთხოვნების საპასუხოდ, პროფესიული განათლების სფეროსა და მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის პროგრამებით, თანამედროვე, დინამიური სასწავლო სივრცის შექმნა. ტექნოლოგიებისა და მისი სხვა სფეროებთან ინტეგრირების პროცესში ცოდნისა და უნარების დაუფლების, განახლების, განვითარების შეთავაზება-მხარდაჭერა

მისიის მისაღწევად დასახული ზოგადი მიზნები

- თანამედროვე სწავლა-სწავლების სივრცის შექმნა-განვითარება საქართველოს რეგიონ(ებ)ში, როგორც პროფესიული განათლებით, ისე მოკლევადიანი პროგრამებით დაინტერესებულ პირთათვის
- საერთაშორისო დონეზე ტექნოლოგიებისა და მისი სხვა სფეროებში ინტეგრირების, სიახლეების პოპულარიზაცია
- ზრდასრულთათვის ახალი ცოდნის მიღების ან/და არსებულის განვითარების მხარდაჭერა

ღირებულებები

ურთიერთთანამშრომლობითი და გუნდური პრინციპით მუშაობა საგანმანათლებლო და შრომით ბაზარზე, განმავითარებელი წვლილის შეტანა, ცოდნის ღიად გაზიარება კულტურულ-სოციალური და გარემოსდაცვითი ღონისძიებების მხარდაჭერა

სტრატეგიის შესახებ

სტრატეგიული გეგმარება ორგანიზაციის განვითარებისათვის მთავარი კომპონენტია, რომელიც საფუძვლად უდევს პროცესების წინსვლასა და ბაზარზე მნიშვნელოვანი როლის დაკავებას თუ შენარჩუნებას. ჩვენს გრძელვადიან (7 წლიანი) გეგმაში ასახულია კომპანიის სამი, უცვლელი მიზანი და მათი შესაბამისი ამოცანები. ამავე დროს, გაწერილია მიმდინარე მიზნები, რომელიც შესაძლოა ცვალებადი იყოს ყოველი გრძელვადიანი გეგმის შემუშავება-განვითარებისას.

კომპანიის მიზნები მოიცავს არამხოლოდ ორგანიზაციის ძირითადი საქმიანობის -განათლების წარმოება-განვითარებას, მენეჯმენტისა და ბაზარზე პოზიციის დაკავება-შენარჩუნებას, არამედ ქვეყნის საზოგადოების ცხოვრებაში წვლილის შეტანას.

გამომდინარე იქიდან, რომ კომპანია ახალი დაფუძნებულია და მას არ გააჩნია გასული წლების გამოცდილება, მიზნები და ამოცანები ეფუძნება დღევანდელი ხედვის შვიდწლიან პერსპექტივას, თუმცა, რამდენადაც სამყაროში ყველაფერი სწრაფცვალებადია, იმდენად შესაძლოა ერთი ან მეტი წლის გამოცდილების მიღების შემდეგ წარმოდგენილი სტრატეგიული გეგმა დაკორექტირდეს, დაემატოს ან შეიცვალოს ამოცანები, გაითვალისწინოს მიმდინარე მიზნები განსხვავებულად, თუმცა, მისიის შესაბამისად.

გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმა მოიცავს შვიდ მიზანს ამოცანებითა და გრძელვადიანი ინდიკატორებით. წარმოდგენილი გეგმის საფუძველზე შემუშავებულია ერთწლიანი გეგმა, რომელიც მოიცავს მიზნების შესასრულებელ კონკრეტულ აქტივობებს, შედეგებს და სხვა ინფორმაციას. ამავე დროს, იგი, შესაძლოა ითვალისწინებდეს დამატებით მიმდინარე ამოცანებს (ვიდრე ეს ასახულია გრძელვადიან გეგმაში).

გრძელვადიანი და მოკლევადიანი გეგმები ემსახურება მისიასთან შესაბამისობასა და კომპანიის საქმიანობის განვითარებას.

ორგანიზაციის SWOT ანალიზი

ვინაიდან, ჩვენი კომპანია ახალი დაფუძნებულია, ამ ეტაპისთვის, არსებული ინფორმაცია შესაძლოა არ მოიცავდეს კომპონენტების მრავალმხრივ შეფასებას. შესაბამისად. კომპანია ყოველწლიურად ახდენს თვითშეფასებას და შეაქვს შესაბამისი შესწორებები/დამატებები.

კომპონენტები	**ძლიერი მხარეები**	**სუსტი მხარეები**
პროგრამა და ადამიანური რესურსი	● მაღალკვალიფიციური მასწავლებლები ● სახელმწიფო სტანდარტზე დაფუძნებული პროგრამა	● პროგრამების მცირე რაოდენობა ● გაცვლითი პროგრამის არ არსებობა
მენეჯმენტი და ადამიანური რესურსი	● ახალგაზრდა, მოტივირებული კადრების არსებობა	● ადმინისტრაციული პერსონალის კომპანიის მისიასთან არასათანადო კვალიფიკაციურობა თანამედროვე ტექნოლოგიებში
ფინანსურ-მატერიალური რესურსი	● ახალგარემონტებული და თანამედროვედ აღჭურვილი ინფრასტრუქტურა ● შენობა-ნაგებობის აჭარის რეგიონში ხელმისაწვდომი მდებარეობა	● შეზღუდული ფინანსური რესურსი ● ადგილზე არსებული ბიბლიოთეკის ფონდის სიმცირე
ორგანიზაციული განვითარება		● სხვა ქვეყნის მსგავს ორგანიზაციებთან თანამშრომლობის არ არსებობა ● მენეჯმენტში არ არსებული მართვის ელექტრონული პლატფორმა ● ახალი პოზიცია საგანმანათლებლო ბაზარზე
კომპონენტები	**შესაძლებლობები**	**რისკები**

პროგრამა და ადამიანური რესურსი	● სხვადასხვა ტიპის პროგრამების შემუშავება (მომზადება, გადამზადება, არაფორმალური განათლების კურსები, ტრენინგები, სემინარები)	● კვალიფიციური მასწავლებლის/ლექტორის რეგიონში მოძიება
მენეჯმენტი და ადამიანური რესურსი	● პერსონალის მართვის ელექტრონული პლატფორმის დანერგვა ● პერსონალისთვის კომპანიის ფარგლებშივე კომპეტენციის განვითარების მრავალმხრივი შესაძლებლობა	● კადრების შენარჩუნება
ფინანსურ-მატერიალური რესურსი	● საგრანტო ან/და ადგილობრივ/რეგიონულ საკონკურსო პროექტებში მონაწილეობა ● ჩვენი კომპანიის სხვადასხვა აქტივობების/ღონისძიებების პარტნიორი ორგანიზაციების მიერ დასპონსორება	● სპონსორების მხრიდან შეზღუდული რესურსის გამოყოფა
ორგანიზაციული განვითარება	● რეგიონის დონეზე ტექნოლოგიების სფეროში მთავარი ნიშა ● რეგიონში ტექნოლოგიების სფეროს ირგვლივ მრავალსმრივი ცოდნის გაზიარება ● სხვადასხვა სფეროში მოქმედ ორგანიზაციებთან პარტნიორობის დაწყება-განვითარება	● რეგიონში მცხოვრები ადამიანებისთვის, კომპანიებისთვის არასაკმარისი ან/და არასათანადო ტექნოლოგიური საშუალებების ფლობა

მიზნები და ამოცანები 7 (შვიდ) წლიან სტრატეგიაში

მიზანი - 1 - თანამედროვე სწავლება-სწავლის სივრცის შექმნა-განვითარება საქართველოს რეგიონ(ებ)ში, როგორც პროფესიული განათლებით, ასევე მოკლევადიანი პროგრამებით დაინტერესებული პირთათვის	**პერიოდი**	**ინდიკატორი**

ამოცანა 1.1 – შრომის ბაზარზე მოთხოვნადი მოკლევადიანი პროგრამის/მოდულის/კურსის დანერგვა	2025წ.-2030წ.	ხორციელდება შრომის ბაზრის კვლევის შედეგად იდენტიფიცირებული და შემუშავებული პროგრამა/მოდული
ამოცანა 1.2 – ელექტრონული სასწავლო რესურსის შექმნა და საჯაროდ ხელმისაწვდომობა	2025წ.-2030წ.	საჯაროდ ხელმისაწვდომია ელექტრონული სასწავლო რესურსები
ამოცანა 1.3 – მენეჯმენტში ელექტრონული პლატფორმის/აპლიკაციის დანერგვა-განვითარება	2025წ.-2030წ.	მენეჯმენტში ინტეგრირებულია და ვითარდება ელექტრონული პლატფორმა/აპლიკაცია
ამოცანა 1.4 – პროფესიული სტუდენტების, მსმენელებისა და კურსდამთავრებულთა საჭიროებების იდენტიფიცირება	2025წ.-2031წ.	იდენტიფიცირებულია საჭიროებები და განხორციელებულია შესაბამისი რეაგირება
ამოცანა 1.5 – საქართველოს რეგიონებში მობილური ცენტრების დანერგვა	2025წ-2032წ	საქართველოს არანაკლებ სამ რეგიონში განხორციელებულია მობილური ცენტრი – ადგილობრივად დაინტერესებულ პირთათვის მოკლევადიან პროგრამზე/მოდულზე/ სემინარზე/ ტრენინგზე/კურსზე სწავლების შეთავაზებით

მიზანი – 2 – საერთაშორისო დონეზე ტექნოლოგიებისა და მისი სხვა სფეროებში ინტეგრირების სიახლეების პოპულარიზაცია	**პერიოდი**	**ინდიკატორი**
ამოცანა 2.1 – თანამედროვე სამყაროში ხელოვნური ინტელექტის მიღწევების შესახებ ინფორმაციის მოძიება-დამუშავება და მის შესახებ ინფორმაციის გავრცელება	2025წ.-2032წ.	კომპანიის სოციალური ქსელების მეშვეობით, წელიწადში არანაკლებ ორჯერ, გავრცელებულია ინფორმაცია თანამედროვე სამყაროში ხელოვნური ინტელექტის მიღწევების შესახებ, სანდო წყაროს მითითებით

ამოცანა 2.2 – ციფრული ტექნოლოგია მსოფლიოსა და საქართველოში – აღნიშნულ თემატიკაზე ინფორმაციის/კვლევის მოძიება-დამუშავება და დაინტერესებული პირების წინაშე წარდგენა	2025წ-2032წ	წელიწადში ერთხელ კომპანიის ორგანიზებით ჩატარდა შეხვედრა/სემინარი ხელოვნური ინტელექტის, ინფორმაციული ტექნოლოგიების მიღწევების და მათი ახალი შესაძლებლობების გამოყენების თაობაზე

მიზანი – 3 – ზრდასრულთათვის ახალი ცოდნის მიღების ან/და არსებულის განვითარების მხარდაჭერა	**პერიოდი**	**ინდიკატორი**
ამოცანა – 3.1 – დასაქმებულ ზრდასრულთათვის ტრანსფერული უნარების განმავითარებელი მასტერკლასების შეთავაზება	2026წ-2032წ	ზრდასრულთათვის ჩატარდა წელიწადში არანაკლებ ორჯერ სხვადასხვა სახის მასტერკლასი
ამოცანა – 3.2 – ზრდასრულთა საჭიროებების თემატური კვლევა	2026წ-2032წ	ჩატარებულია წელიწადში არანაკლებ ერთხელ თემატური კვლევა
მიზანი – 4 – ქვეყნის სოციალურ-კულტურულ-გარემოსდაცვით და ეკონომიკურ პროცესებში წვლილის შეტანა	**პერიოდი**	**ინდიკატორი**
ამოაცანა – 4.1 – კომპანიის პერსონალის, პროფესიული სტუდენტებისა და მსმენელების მონაწილეობით/ჩართულობით სოციალურ-კულტურული აქტივობის განხორციელება	2025წ-2032წ	წელიწადში არანაკლებ ერთხელ განხორციელდა სოციალურ-კულტურული აქტივობა
ამოცანა – 4.2 –კომპანიის პერსონალის, პროფესიული სტუდენტებისა და მსმენელების მონაწილეობით/ჩართულობით გარემოსდაცვითი აქტივობის განხორციელება	2025წ-2032წ	წელიწადში არანაკლებ ერთხელ განხორციელდა გარემოსადცვითი აქტივობა
მიზანი – 5 – ორგანიზაციული განვითარება	**პერიოდი**	**ინდიკატორი**

ამოცანა – 5.1 – კომპანიის მართვის სფეროში ტექნოლოგიის კომპონენტის დანერგვა–განვითარება	2026წ-2030წ	კომპანიის მართვით სფეროში დაინერგა და პერიოდულად ვითარდება აპლიკაციის გამოყენების პრაქტიკა
ამოცანა – 5.2 – კომპანიის ადამიანური რესურსის გაძლიერება და მხარდაჭერა	2024წ-2032წ	წელიადში არანაკლებ ერთხელ ჩატარდა პერსონალის კომპეტენციის განმავითარებელი ღონისძიება
მიზანი – 6 – კურსდამთავრებულთა მხარდაჭერა		
ამოცანა – 6.1 – დასაქმებისა და კარიერული ზრდის მხარდაჭერა პარტნიორ კომპანიებთან სხვადასხვა სახის თანამშრომლობით	2025წ-2032წ	ყოველწლიურად განხორციელებულია დასაქმებისა და კარიერული მხარდაჭერის ღონისძიებები პარტნიორი ორგანიზაციების ჩართულობით/მონაწილეობით
ამოცანა –6.2 – კურსდამთვარებულთა კომპეტენციის მხარდაჭერა	2025წ-2032წ	კურსდამთვარებულთათვის შექმნილია და ვითარდება სააბონენტო სისტემა კომპანიის ღონისძიებებზე საშეღავათო პირობებით
მიზანი – 7 – საერთაშორისო პარტნიორობის განვითარება		
ამოცანა – 7.1 – უცხო ქვეყნის წარმომადგენლებთან პარტნიორობა და თანამშრომლობის განვითარება	2027წ.-2032წ.	გაფორმებულია თანამშრომლობის მემორანდუმი, არანაკლებ სამ უცხო ქვეყნის ორგანიზაციასთან რომელსაც აქვს კონკრეტული შედეგები
ამოცანა – 7.2 – საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობაში კომპანიის პროფესიული სტუდენტების/მსმენელების/ პერსონალისთვის/ კურსდამთავრებულისთვის მონაწილეობის მექანიზმების დანერგვა–განვითარება	2027წ.-2032წ.	შემუშავებული და დანერგილია მექანიზმები, რომელსაც მოაქვს ბენეფიტი კომპანიის პროფესილი სტუდენტისთის/მსმენელისთის/ პერსონალისთვის/ კურსდამთავრებულისთვის

დამტკიცების რეკვიზიტები:

პროექტის წარდგენის თარიღი:

დამტკიცების თარიღი:

ხელმოწერა:

ცვლილებების რეკვიზიტები: